



კლასი



მათემატიკური ოლიმპიადა

1) იამ დაასახელა რიცხვი 18. მასწავლებელმა იას მიერ დასახელებული რიცხვი გააორმაგა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა რიცხვი დაასახელა იამ?

1) 9

2) 18

3) 36



ბ) მასწავლებელმა იას მიერ დასახელებული რიცხვი გაზარდა, თუ შეამცირა?

1) გაზარდა

2) შეამცირა

3) არ შეუცვლია



გ) რამდენიშნა რიცხვი მიიღო მასწავლებელმა?

1) ერთიშნა

2) ორიშნა

3) სამიშნა

2) ბებიაშვილებს: პეტრეს და პავლეს ფული მისცა. პეტრეს 5 ცალი ერთლარიანი მისცა, პავლეს კი – 6 ცალი ორლარიანი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ლარი მისცა ბებიაშვილებს პეტრეს?

1) 5 ლარი

2) 6 ლარი

3) 12 ლარი



ბ) რამდენი ორლარიანი მისცა ბებიაშვილებს პავლეს?

1) 6 ორლარიანი

2) 2 ორლარიანი

3) 1 ორლარიანი



გ) რამდენი ლარი მიუცია ბებიაშვილებს პავლესთვის?

1) 2 ლარი

2) 6 ლარი

3) 12 ლარი



დ) რამდენი ლარით მეტი მიუცია ბებიაშვილებს პავლესთვის, პეტრესთან შედარებით?

1) 1 ლარით

2) 6 ლარით

3) 7 ლარით



3) ბავშვები ტყეში გირჩებს აგროვებდნენ. თენგომ უფრო მეტი გირჩი მოაგროვა, ვიდრე თომამ. თომამ უფრო მეტი გირჩი მოაგროვა, ვიდრე ტასომ. კატომ უფრო ცოტა გირჩი მოაგროვა, ვიდრე თომამ. ვინ მოაგროვა ყველაზე მეტი გირჩი?

1) თენგომ

2) თომამ

3) ტასომ